ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2468286

ნომერი: AR1382641

თარიღი : 29.02.2016

გაცემის თარიღი : 10.03.2016

გაცნობის თარიღი : 10.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქსანი , ქუჩა 14ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი ქარდავა პ/ნ 65002008165
- სოხუმი, ს.თავისუფლება შრომის ქ. N 4

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "როკა" კოდი: 400071337

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე მსუბუქი კონსტრუქციის კედლის განთავსების და მასზე კარის და რეკლამის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ქუჩა ქსანი, ქუჩა 14ა, შ.პ.ს „როკა“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #003.030), მსუბუქი კონსტრუქციის კედლის განთავსებას და მასზე კარის და რეკლამის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.12.08.003.030. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882015446619 07/08/2015წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ქუჩა ქსანი, ქუჩა 14ა, შ.პ.ს „როკა“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #003.030), მსუბუქი კონსტრუქციის კედლის განთავსების და მასზე კარის და რეკლამის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო ობიექტის განთავსება უნდა განხორციელდეს N 01.12.08.003.030 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, N 01.12.08.003.030 ნაკვეთზე არსებული შენობისგან დამოუკიდებლად.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.